ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1207101

ნომერი: AR1206455

თარიღი : 24.03.2014

გაცემის თარიღი : 17.04.2014

გაცნობის თარიღი : 10.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 15 , (ნაკვეთი N1/55) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომეო ესართია პ/ნ 19001025590
- ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2010 წლის 20 სექტემბერს #01/2097 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმება

2009 წლის 13 ივლისს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი #15-ში, ავტოსალონის და სერვის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დასამუშავებლად გაიცა #705 გეგმარებითი დავალება, რომლის საფუძველზეც 2010 წლის 20 სექტემბერს #01/2097 ბრძანებით შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. შემდეგ #01/2101 (01.08.2011) ბრძანებით მოხდა კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება, რადგანაც შეიცვალა ტერიტორიის შიდა გეგმარება: კერძოდ, ამოღებულ იქნა ბლოკი ,,C” რომლის კოეფიციენტები გადანაწილდა დანარჩენ ,,A” და ,,B” ბლოკებზე და წარმოდგენილი იქნა მიწის ნაკვეთების ახალი გამიჯვნის სქემა.

2013 წლის 5 მარტს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს AR1113832

განაცხადით მომართა შპს „იმედი 2003“-ის წამომადგენელმა გიორგი ტაბატაძემ და მოითხოვა სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება, ვინაიდან, ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო გახდა ტერიტორიაზე ანაკრები მეტალის კონსტრუქციის სამღებრო კამერის დამონტაჟება არსებულ ბეტონის ბაქანზე, რამაც გამოიწვია უმნიშვნელო ცვლილებები შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მაჩვენებლებში, კოეფიციენტების უცვლელად.

საკითხი განიხილა ,,ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის'' 2013 წლის 6 მარტის სხდომამ (ოქმი #9), რომლის დასკვნის შესაბამისად საპროექტო წინადადებას მიეცა დადებითი რეკომენდაცია.

წარმოდგენილი მასალის და წინა განაცხადზე შეთანხმებული პროექტის დოკუმენტაციის შედარებისას აღმოჩნდა განსხვავება: მოხდა #01.19.21.001.155 და #01.19.21.001.156 საკადასტრო ერთეულების გაერთიანება. გამომდინარე აქედან, განხორციელდა ცვლილება 2009 წლის 13 ივლისის #705 გეგმარებით დავალებაში. კერძოდ, დაემატა ახალი საკადასტრო ერთეული, საკადასტრო კოდით #01.19.21.001.168, ფართობით: 11377 კვ.მ. (ამონაწერის სარეგისტრაციო #882012146934 (მომზადების თარიღი: 06.04.2012წ.), საკადასტრო გეგმის სარეგისტრაციო #882011510038; საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 20.10.2011წ.);

2014 წლის 24 მარტს #AR1206455 განცხადებით სამსახურს მომართა შპს „თეგეტა მოტორსის“ (მიწის ნაკვეთის მეიჯარე) წარმომადგენელმა რომეო ესართიამ და მოითხოვა შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება. კორექტირებული პროექტის მიხედვით საპროექტო ობიექტების განთავსება ხდება ერთიან მიწის ნაკვეთზე, ხოლო ცალკეული საპროექტო ობიექტების შეთანხმება განხორციელდება ბლოკების მიხედვით. შეიცვალა ,,B'' ბლოკის გეგმარება, შეთანხმებულ გრგ–ს პროექტში არსებული შენობის ნაცვლად ტერიტორიაზე განთავსდება ანაკრები მეტალის კონსტრუქციის მცირე ზომის სარემონტო მოდული, რამაც შეცვალა ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებიც, ამასთან, ვინაიდან აღარ იგეგმება ტერიტორიის გამიჯვნა ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების დათვლა განხორციელდა მთლიანი მიწის ნაკვეთისთვის. აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე, სადაც გადაწყდა დადებითად (ოქმი #12 27.03.2014) და გამოიცა ქ. თბილისის მერის #752 27.03.2014 განკარგულება;

<u>დამკვეთი:</u> შპს "თეგეტა მოტორსი"–ს არქიტექტორი რომეო ესართია
<u>საპროექტო ორგანიზაცია:</u> შპს „გრავიტა“
<u>ავტორი</u>: რომეო ესართია
<u>საფუძველი:</u> AR1206455 24.03.2014

- საკადასტრო გეგმა: #01.19.21.001.168

- ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება #705 (13.07.09)

- ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება #01/2097 (20.09.10)

- ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება #01/2101 (01.08.11)

–ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება #620934 12.04.2013

- ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის'' 2013 წლის 6 მარტის სხდომის ოქმი #9; 2014 წლის 27 მარტის სხდომის ოქმი #12;

- ქ. თბილისის მერის განკარგულება #446 (15.03.2013); 752 (07.04.2014);

კორექტირებული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი: ---------- 11377.0 მ^2
განაშენიანების ფართობი: ---------- 1680.85 მ^2 კ1 = 0.1
საერთო ფართობი (გარე კონტურში): ---------- 2006.6 მ^2 კ2 = 0.2
გამწვანების ფართობი: ---------- 4836 მ^2 კ-3 = 0.5

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისადა `ქალაქ თბილისის მერიისსაჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისისარქიტექტურის სამსახურისთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილადცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზექალაქ თბილისის მერის2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და ქალაქ თბილისის 2009 წლის 27 მარტის # 4-13 გადაწყვეტილების მე-3 თავის თანახმად

ვბრძანებ

1.დაკმაყოფილდეს მოქალაქე რომეო ესართიას AR1206455 (24.03.2014) განცხადება;

2.შეთანხმდეს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი #15-ში, ავტოსალონის და სერვისცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი.

3. ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხმებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ტოპოგრაფიული გეგმები მ 1:500; (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით);

4.ტერიტორიის სამშენებლო განვითარება მოხდეს შეთანხმებული კორექტირებული პროექტის შესაბამისად.

5. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით, ვინაიდან ერთ-ერთი გზით სარგებლობა ხდება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა აღნიშნული გზით სარგებლობის თაობაზე;

6. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს 2009 წლის 13 ივლისს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის #705 გეგმარებით დავალებასთან და ამავე სამსახურის #01/2097 (20.09.2010), #01/2101 (01.08.2011) #620934 12.04.2013 ბრძანებებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.